ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N30

ქ.თბილისი

13 ნოემბერი, 2018 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გულია გოცირიძე
გიორგი გაბაშვილი	ლევან დავითაშვილი
ოთარ გრიგოლია	ირაკლი ზარქუა
ბექა დავითულიანი	ფრიდონ ინჯია
ლევან დარახველიძე	ერეკლე კუხიანიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	ნინო ლაცაბიძე
თევდორე ისაკაძე	ირაკლი ნადირაძე
ლილე ლიპარტელიანი	შალვა ოგბაიძე
თინათინ ნიბლოშვილი	ლევან ჟორჟოლიანი
ელენე ოზაშვილი	დათო რურუა
დათო ჟღენტი	თამარ ტალიაშვილი
რევაზ სოხაძე	ვახტანგ შაქარიშვილი
დავით უთმელიძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე	ვლადიმერ ძნელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ხაბეიშვილი
ილია ჯიშკარიანი	ლევან ჯაფარიძე
ქეთევან ჯოხაძე	ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლაიშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ასი ათასი ქართველი მოწამის ხსენების დღე. თამარ ტალიაშვილს მიულოცა ევროსაბჭოს კონგრესში რეგიონთა პალატის ვიცე-პრეზიდენტად არჩევა, წარმატებები უსურვა. ასევე, ისაუბრა ევროსაბჭოს თვითმმართველობის კონგრესის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მისიის შედეგებზე, სადაც ასახულია 2013 წლის შემდგომ პერიოდში მიღწეული დიდი წარმატება, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მარიკა დარჩიამ მიულოცა თამარ ტალიაშვილს რეგიონთა პალატის ვიცე-პრეზიდენტად არჩევა და განაცხადა, რომ „ეს არა მარტო თამარის გამარჯვებაა, არამედ საქართველოს გამარჯვებაა". ისაუბრა წინასაარჩევნო სიტუაციაზე, სამარცხვინო და მიუღებელი უწოდა ქალი კანდიდატის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას. მისი თქმით, საქართველო არის „ქვეყანა, რომელმაც იცის ქალის ფასი" და მიმართა საკრებულოს წევრებს, ხელის აწევით დაადასტურონ „არა ძალადობას".

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისს ჰყავს ახალი საკრებულო და მერი და ამ ვადაში მოახერხეს დედაქალაქში არჩევნების პირველი ტურის წაგება. რაც, მისი თქმით, გამოწვეულია იმით, რომ ყურადღებას არ აქცევდნენ ქალაქში და მოსახლეობაში არსებულ პრობლემებს, რომლებსაც აჟღერებდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები. მისი თქმით, საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან კეთდებოდა განცხადებები, რომ ოპოზიცია ცრუობდა, თუმცა დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, გამოჩნდა „ვინ, ვინ მოატყუა". მან გაიხსენა ირაკლი ზარქუას მიერ, გასულ წელს, საახალწლო განათებების შესაძენად სამი მილიონი ლარის დახარჯვასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება, რომ ეს იყო ხარისხიანი და მომდევნო წლებში ამ მიმართულებით თანხა აღარ დაიხარჯებოდა. თუმცა, წელს გამოცხადებულ ტენდერში დისკვალიფიცირებული იქნა ორი ქართული კომპანია, გაიმარჯვა ისევ მილანურმა კომპანიამ, რომელთანაც ამჯერად ორი მილიონი ლარის ხელშეკრულება გაფორმდება. განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ ფიქრობს თბილისელების პრობლემეზე და ამის დასტურია ის, რომ მთელი წელია დაპირისპირებაში არიან მოქალაქეებთან. კერძოდ: ყიდულობენ 80 ავტომობილს, რომლის შესაძენად ბიუჯეტიდან დაიხარჯება ოთხი მილიონი ლარი; დედაქალაქის მერის არჩევისთანავე საკრებულომ მხარი დაუჭირა ბიუროკრატიის გაზრდას; შეამცირეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებისთვის განკუთვნილი დღიური თანხა; ტაქსის მძღოლებს „დაადეს ხარკი". მისი თქმით, დედაქალაქის მოსახლეობამ ამ ყველაფერზე ადეკვატური პასუხი გასცა ხელისუფლებას, რომელიც არჩევნების პირველ ტურში მარცხს აბრალებს საბავშვო ბაღების დირექტორებს და რამდენიმე მათგანი თანამდებობიდანაც კი გაათავისუფლეს.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ რუსი პიარტექნოლოგის, შკლიაროვის მიერ გაკეთებული განცხადება იმის დასტურია, რომ ვაშაძე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ემსახურებიან დესტრუქციულ და დამანგრეველ მიზნებს. მისი თქმით, არჩევნების მეორე ტური არის დემოკრატიული პროცესი, რაზეც ევროპელმა კოლეგებმაც ისაუბრეს, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არასდროს მიდიოდა დემოკრატიის გზით. თამარ ტალიაშვილმა საბავშვო ბაღებიდან დირექტორების გათავისუფლებაზე განაცხადა, რომ ოპოზიციას ამ საკითხის პოლიტიზება არ გამოუვა, რადგან დღევანდელი ხელისუფლების პერიოდში, თბილისში გაიხსნა 21 ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო წინა ხელისუფლების პირობებში დაიხურა 47. საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარეობს რეფორმები არა მარტო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, არამედ აღმზრდელობითი კუთხითაც და ამ პროცესის შენარჩუნების და განვითარებისთვის მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, რომლის დასკვნის საფუძველზეც, ბაგა-ბაღების დირექტორებთან დაკავშირებით, იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ წინა ხელისფლებისგან განსხვავებით, დღევანდელ ხელისუფლებას საზოგადოება შეცდომაში არ შეჰყავს ცრუ დაპირებებით და არჩევნების

პირველ ტურში დაფიქსირებული შედეგი გამომდინარეობს არა იქიდან, რომ მოსახლეობას მოსწონს ოპოზიციის პროგრამა, არამედ იქიდან, რომ დღევანდელი ხელისუფლება „მოდუნდა და დაუშვა შეცდომები", რომელზსაც გამოასწორებს. ირაკლი ზარქუა გამოეხმაურა ლევან ხაბეიშვილის მიერ საახალწლო განათებისთვის დახარჯულ თანხებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და დეტალურად ისაუბრა, თუ რა თანხა იხარჯებოდა ამ მიმართულებით 2009-2011. აქვე ისიც აღნიშნა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით თანხა პირველად დახარჯა 2016 წელს და იმისთვის, რომ დედაქალაქის ყველა უბანში იგრძნობოდეს საახალწლო განწყობა, აპირებს განათებების განახლებას ყოველწლიურად.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ „საქართველო ასეთი გაჭირვებული და დამცირებული არასდროს ყოფილა" და ამ ფონზე „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატს წარმოდგენა არ აქვს სახელმწიფოს მოწყობაზე, ვერ ხვდება რა არის სახელმწიფოს საზღვრები, რომელიც არის ჩვენს ქვეყანაში რუსული სცენარის გამტარებელი და განმახორციელებელი. მისი თქმით, რომ არა ბიძინა ივანიშვილის სურვილი, არავის მოუვიდოდა თავში აზრად ასეთი ადამიანის პრეზიდენტად წარდგენა და დღევანდელი ხელისუფლების მარცხი არჩევნების პირველ ტურში გამოწვეულია სწორედ იმით, რომ „ქალბატონი სალომე ყველაზე ანტისახელმწიფოებრივი ფიგურაა და ქართველმა ხალხმა ამ ადამიანს უთხრა უარი".

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა „გვაზეიმეს წაგებული ომი 2008 წელს" და ეხლა ცდილობენ დაამტკიცონ, რომ არჩევნები მოიგეს, თუმცა მათ არჩევნები არ მოუგიათ და ვერც მეორე ტურში მოიგებენ, რადგან ოპოზიციის და ხელისუფლების კანდიდატებს შორის მთავარი განსხვავება არის ღირსებაში, კერძოდ, ოპოზიციის პოლიტიკურ გუნდს და კანდიდატს არ აქვს პოლიტიკური ღირსება, ხოლო ხელისუფლების მიერ მხარადჭერილ კანდიდატს აქვს პოლიტიკური გამოცდილება და ყველა კრიტერიუმი, რომელიც აუცილებელია პრეზიდენტისთვის. მისი თქმით, არჩევნების პირველი ტურის შედეგებით, საზოგადოებამ ხელისუფლებას უთხრა, რომ უნდა უპასუხოს დღეს არსებულ ბევრ გამოწვევას, თუმცა საზოგადოება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" აღარასდროს გამოუცხადებს ნდობას და არჩევნების მეორე ტურში გააკეთებს ღირსეულ არჩევანს.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები მუდმივად საუბრობენ ეკონომიკაზე და დასაქმებაზე, თუმცა მათ ამ მიმართულებით არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. ხოლო დღეს, გრიგოლ ვაშაძე და მისი პიარტექნოლოგი შკლიაროვი საერთაშორისო მედიაში ავრცელებენ ინფორმაციას, რომ გეგმავენ დესტაბილიზაციას, რითაც საერთაშორისო ინვესტორებს აძლევენ სიგნალს, რომ ამ ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელება არ შეიძლება, რაც ჩვენი ქვეყნის და ხალხის მტრობაა.

ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ხელისუფლებას სჭირდება ისეთი ოპოზიცია, რომელიც გააკრიტიკებს და აბსოლუტურად ზედმეტია „ისტერიულ რეჟიმში გადასვლა". ქალაქის და ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღებისთვის, საჭიროა კონსტრუქციული ურთიერთობა და საქმიანი ოპონირება და არა დესტრუქციული და სიცრუეზე აგებული განცხადებების გაკეთება.

ლევან ჟორჟოლიანმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურ გუნდზე განაცხადა, რომ ადამიანი და ძალა, რომელიც დაკარგავს 150 სოფელს, მას აღარ უნდა ჰქონდეს ხელისუფლებაში მობრუნების პრეტენზია. ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ისეთი დაპირებები გასცა, რომლის კონსტიტუციური უფლებაც არ აქვს. „დემაგოგიაა" მათი განცხადება, თითქოს „ქართული ოცნების" მხარდაჭერილმა კანდიდატმა არ იცის რა არის სახელმწიფოს მოწყობა. მისი თქმით, ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატის ყველა დაპირება არის „ძალიან დიდი ტყუილი", დღეს მიმდინარე პროცესი მიმართულია იმისკენ, თუ რამდენად სტაბილური ხვალინდელი დღე გვექნება და ამას საზოგადოება ადეკვატურ პასუხს გასცემს არჩევნების მეორე ტურში.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობას „როგორ ადანაშაულებთ საკუთარ ქვეყანას ომის დაწყებაში. თავდაცვითი ომის საკუთარი ქვეყნისთვის დაბრალება არ მართლდება არანაირად". „წაგებული ომის ზეიმზე" განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ომი აგრესორის გამარჯვებით დასრულდა, პატრიოტიზმის და თავისუფლების სიმბოლოდ დარჩებიან ამ ომის გმირები ისევე, როგორც 1989 წლის 9 აპრილის გმირები და ისევე, როგორც ანწუხელიძე, ტატუნაშვილი და ბევრი სხვა, რომლებიც ომის დაწყებაში საკუთარ ქვეყანას არ ადანაშაულებდნენ. საუბრის ბოლოს, ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ჩვენ ვწერთ ისტორიას, ვაკეთებთ არჩევანს თავისუფალ, სუვერენულ საქართველოსა და რუსეთის ქვეშევრდომად დარჩენას შორის და მოუწოდა ყველას, გააკეთოს სწორი არჩევანი.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ „ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ ქვეყანას", სადაც არჩევნების მეორე ტური არის კანონით გათვალისწინებული პროცესი. ქართველი ხალხი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" არ მისცემს დესტაბილიზაციის და რევოლუციის მოწყობის საშუალებას, რადგან საზოგადოების დაკვეთაა „არა ნაციონალურ მოძრაობას", ხოლო „ქართულ ოცნებას" მისცემს დაშვებული შეცდომების გამოსწორების საშუალებას, რაც გამოჩნდება არჩევნების მეორე ტურში.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრები არჩევნების შედეგებზე საუბრის ნაცვლად, თბილისში არსებული ბევრი მწვავე პრობლემის მოგვარების გზებს უნდა განიხილავდნენ. რადგან საკრებულოს სხდომა დაიწყო მოწოდებით „არა ძალადობას", უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ფორმის ძალადობა დასაგმობია, მათ შორის ისიც, რომ მშვიდობიან მომიტინგეებს არ ეძლევათ კარვების დადგმის საშულება და მიმართა საკრებულოს წევრებს, ისევე, როგორც ხელის აწევით დაადასტურეს „არა ძალადობას", „გთხოვთ, ავწიოთ ყველამ ხელი, ვინც ვთვლით, რომ რუსეთი ოკუპანტია და ომი დაიწყო რუსეთმა და არა საქართველომ". საუბრის ბოლოს, ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები არ დაესწრებიან მიმდინარე საკრებულოს სხდომას, რადგან „ნაძვის ხეს ამჯობინებენ ადამიანს" და შეუერთდებიან რუსთაველზე მიმდინარე მშვიდობიან აქციას. ირაკლი ნადირაძის განცხადების შემდეგ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს სხდომა.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური ჩატარდა მშვიდად, ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი აზრი და იმედი გამოთქვა, რომ ასევე მშვიდ გარემოში ჩაივლის მეორე ტურიც და არავინაა რევოლუციურ რეჟიმში. მისი თქმით, აბსოლუტურად ზედმეტია ის ვნებათა ღელვა, რომელიც გამოწვეულია საკრებულოს უმრავლესობის მიერ და ქმნის სწორედ „ქართული ოცნების" წარმომადგენლის მიერ ნახსნებ „ისტერიულ გარემოს". „ქართულ ოცნებას" ჰყავს თავისი ამომრჩეველი და როგორი შედეგიც არ უნდა აჩვენოს არჩევნებში, არ აპირებს პატივი არ სცეს მათ ამომრჩეველს, რადგან ნებისმიერი ადამიანი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა და თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი პოზიცია. გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება, პირველ რიგში, გულისხმობს პასუხისმგებლობას და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას „სანამ ხელისუფლებაში ხართ, თქვენი პასუხისმგებლობაა შექმნათ მშვიდი, წყნარი ვითარება და ამომრჩეველს მისცეთ საშუალება გამოხატოს ნება, თუნდაც წააგოთ, ეს მაინც უნდა მოახერხოთ".

ვახტანგ შაქარიშვილი დაეთანხმა გიორგი გაბაშვილის სიტყვებს, რომ არჩევნების პირველი ტური ჩატარდა მშვიდ გარემოში და აღნიშნა, რომ ეს შეძლო „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ. მისი თქმით, ასევე, მშვიდ გარემოში ჩაივლის არჩევნების მეორე ტურიც და „რუსეთს და არა მხოლოდ რუსეთის აგენტურას, არამედ რუსეთის ოფიციალურ რეზიდენტებს და თანამშრომლებს ამ ქვეყანაში გადატრიალების და რევოლუციის არანაირი შანსი არ გააჩნიათ".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისში, გლდანის „ა“ მიკრო/რაიონის კორპუსი N58-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.178) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

2. „ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი N147-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.13.08.003.083) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრეატივისთვის“ (ს/ნ.: 406243505) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

3. „ქალაქ თბილისში, წავკისის ქ.N13-ში მდებარე 763 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

5. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.154) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

6. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.17.052, N81.01.17.048, N81.01.17.041, N81.01.17.049, N81.01.17.047, N81.01.17.051, N81.01.17.050) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

7. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, N01.10.07.007.046 (ნაკვ. 07/046) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (შერეული საზოგადოებრივი ფუნქციით) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

8. „ქალაქ თბილისში, გულუას ქუჩა N22/გორგასლის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.033) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

9. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო - საცდელ მეურნეობაში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.293, N01.72.14.008.238, ასევე დაურეგისტრირებელი სივრცე) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივ - საქმიანი, სასტუმრო) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

10. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/010) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი" სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

11. „ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი; N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.086), ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან „ვენეციას"-სთან (ნაკვ. 25/45, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.045), ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავტოტექმომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთის წინა N25/9, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, ნაკვეთი N25/36, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.036) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ᵃ, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 ოქტომბრის N318 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ";

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

13. „ქ.თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის – „თბილისი"-ს ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: თამარ ტალიაშვილი

14. „ქ.თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი" ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე".

მომხსენებელი: თამარ ტალიაშვილი

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისში, გლდანის „ა" მიკრო/რაიონის კორპუსი N58-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.178) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი N147-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.13.08.003.083) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრეატივისთვის" (ს/ნ.: 406243505) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისში, წავკისის ქ.N13-ში მდებარე 763 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 23 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-03182765-03 თარიღი: 03.10.2018 (2 პოზიცია); N11-03182766-03 თარიღი: 03.10.2018 (5 პოზიცია); N16-0318277147-03 თარიღი: 04.10.2018 (5 პოზიცია); N12-031830273-03 თარიღი: 29.10.2018 (6 პოზიცია); N12-0318306108-03 თარიღი: 02.11.2018 (5 პოზიცია), რომლებზეც ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის

კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.154) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 52160 კვ.მ., რომელიც იმიჯნება 50 საკადასტრო ერთეულად. დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება და აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო ზონის სტატუსის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.17.052, N81.01.17.048, N81.01.17.041, N81.01.17.049, N81.01.17.047, N81.01.17.051, N81.01.17.050) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართობია 11000 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა-1 და დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, N01.10.07.007.046 (ნაკვ. 07/046) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (შერეული საზოგადოებრივი ფუნქციით) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 26123 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6 და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1-ის ფარგლებში, დაგეგმილია საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარებულებისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, გულუას ქუჩა N22/გორგასლის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.033) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 18888 კვ.მ., სადაც ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. დაგეგმილია, ტერიტორიის განვითარება, ზონის სტატუსის უცვლელად, საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე და კომერციული ფუნქციით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო - საცდელ მეურნეობაში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.293, N01.72.14.008.238, ასევე დაურეგისტრირებელი სივრცე) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივ - საქმიანი, სასტუმრო) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 30000 კვ.მ. დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და სასტუმროს განაშენიანება და ასევე, სარეკრეაციო სივრცის მოწყობა. აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია საცხოვრებელი ზონა 2-ის და სარეკრეაციო ზონა 2-ის ნაწილის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/010) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის

მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 86623 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია „თიბისი ბანკის“ სათაო ოფისის, რესტორნის, კაფეს, სპორტული დარბაზების, საცურაო აუზის და ა.შ. განაშენიანება. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ფუნქციები ხელმისაწვდომი იქნება საჯაროდ და მხოლოდ ოფისის თანამშრომლებისთვის არ იქნება განკუთვნილი. ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა. პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია საცხოვრებელი ზონა 3-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით, ასევე, ნაწილობრივ გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 2, ხოლო ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა რჩება უცვლელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი; N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.086), ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან „ვენეციას“-სთან (ნაკვ. 25/45, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.045), ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავტოტექმომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთის წინა N25/9, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, ნაკვეთი N25/36, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.036) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართობი დაახლოებით 11 ჰექტარია, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, ხოლო გარკვეულ ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2. დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება და აქედან გამომდინარე, საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის და საცხოვრებელი ზონა 6-ის კონფიგურაციების ცვლილება. ასევე, შემოთავაზებულია სპეციალური ზონა 1, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სკოლის და ბაღის მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ᵃ, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 ოქტომბრის N318 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ტექნიკური ხარვეზის შესწორებით, სექტორ N5-ში, საჭიროების

შემთხვევაში, დაზუსტება განაშენიანების კონტური, რაც შესაძლებელია გამოიწვიოს სანიტარული დაცვითი კვლევის დასრულების შედეგებმა და ასევე, სექტორ N9-სა და N10-ში, პერსპექტიული განვითარების ესკიზის დამუშავების შემთხვევაში, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება გრგ-ში ცვლილების განხორციელება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქ.თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის – „თბილისი"-ს ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს კონკურსის „თბილისი" ვადის და ფორმატის გარკვეულ ცვლილებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქ.თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი" ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 12 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე